საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №45
2014 წლის 22 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სმართ ლოჯიქის“ (SMART LOGIC) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სმართ ლოჯიქის“ (SMART LOGIC) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 7 აპრილის №18 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 07/04/2014, 040030000.22.027.016525) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) პროექტების მართვის დეპარტამენტი.“.

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. პროექტების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს „სმართ ლოჯიქში“ მიმდინარე პროექტების შესრულების პროგრესის მუდმივ შეფასებას და სამომავლო პროექტების ყველა ეტაპის დაგეგმვას, აგრეთვე პროექტების რისკებისა და პრობლემების მართვას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**